# მითითებები 2004 ფისკალური წლის ათასწლეულის დახმარების პროგრამისთვის განაცხადების შესამუშავებლად

2004 წლის მაისში ათასწლეულის დახმარების მიმღები ქვეყნების გამოცხადების საფუძველზე ათასწლეულის დახმარების კორპორაციის დირექტორთა საბჭო უფლებამოსილ ქვეყნებს სთხოვს წარმოადგინონ განაცხადები ათასწლეულის დახმარების პროგრამის დაფინანსების მისაღებად. ქვემოთ მოცემული მითითებები დაეხმარება უფლებამოსილ ქვეყნებს განაცხადების მომზადებაში.

<u>რას ნიშნავს „ათასწლეულის დახმარების პროგრამა“</u>

„ათასწლეულის დახმარების პროგრამა“ არის პარტნიორობა, რომელიც რამდენიმე ძირითად პრინციპზეა დაფუძნებული; მათ შორისაა ყურადღების გამახვილება მდგრად განვითარებაზე, ქვეყნის საკუთრებაზე, წევრობაზე, ანგარიშვალდებულებასა და იმ შედეგებზე, რომლებიც აირეკლება პროგრამის განვითარებისა და განხორციელების მანძილზე. ათასწლეულის დახმარების პროგრამა ეყრდნობა განვითარების კვლევას, რომელიც ხაზს უსვამს ქვეყნის პოლიტიკისა და ინსტიტუტების ცენტრალურ როლს მის ეკონომიკურ განვითარებაში; აგრეთვე იმას, რომ ქვეყანას ჰქონდეს ძლიერი განვითარების მიზნები, პოლიტიკა და განსაზღვრული საქმიანობები. აქედან გამომდინარე, ათასწლეულის დახმარების პროგრამის მოთხოვნაა, რომ ქვეყანამ თავის განაცხადში განსაზღვროს განვითარების კონკრეტული მიზნები, გეგმები პოლიტიკის მდგრადი რეფორმებისთვის, ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინსტიტუტების გაძლიერება. ათასწლეულის დახმარების პროგრამა აგრეთვე აცნობიერებს, რომ წარმატებულ პროგრამას ესაჭიროება ამოცანები, შედეგებზე პასუხისმგებლობა და ეფექტური საფინანსო კონტროლი.

ვინაიდან ეფექტური განვითარება საჭიროებს ფართო მხარდაჭერას ქვეყნის შიგნით, ათასწლეულის დახმარების კორპორაცია თვლის, რომ ათასწლეულის დახმარების პროგრამა უნდა განხორციელდეს რიგი ორგანიზაციების მიერ, რომელთა შორის იქნებიან სამთავრობო უწყებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო სექტორის წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე, თითოეულ განაცხადში არეკლილი უნდა იყოს ღია კონსულტაციების პროცესის შედეგები, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორთან ინტეგრირებული სამთავრობო ინტერესები.

<u>ხელშეკრულება</u>

ათასწლეულის დახმარების პროგრამის დაფინანსებისთვის საჭიროა განმცხადებელ ქვეყანასა და ათასწლეულის დახმარების კორპორაციის შორის შედგეს წარმატებული მოლაპარაკებები ხელშეკრულების თაობაზე. სპეციფიკის დონე განსხვავებული იქნება ქვეყნების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილი იყოს პროექტისა და ღონისძიებების დონეზე დეტალური გეგმები (როგორიცაა, მაგალითად, საფინანსო, საბუღალტრო, ანგარიშების წარდგენის, მონიტორინგის, შეფასებისა და ა.შ.), ათასწლეულის დახმარების კორპორაცია ვარაუდობს, რომ უმრავლეს შემთხვევაში,

ხელშეკრულებაში წარმოდგენილი იქნება შეთანხმება პროგრამის განხორციელების საყოველთაო ამოცანებსა და სტრატეგიაზე, რომელსაც თანდართული ექნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული განხორციელების შეთანხმებები და შესაბამის პროექტთა გეგმები. ნებისმიერ შემთხვევაში, თითოეული განაცხადი უნდა მოიცავდეს ყოვლისმომცველ ინფორმაციას შემოთავაზებული პროგრამის კონკრეტულ ამოცანებსა და მიზნებზე.

<u>განაცხადები ათასწლეულის დახმარების პროგრამისთვის</u>

ათასწლეულის დახმარების კორპორაცია მიიჩნევს, რომ ათასწლეულის დახმარების მისაღებად წარმოდგენილი განაცხადების ფორმა და შინაარსი განსხვავებული იქნება, გამომდინარე შემოთავაზებული ქვეყნის პროგრამის სირთულიდან და დახმარების სახიდან. ამიტომ, პროგრამის ბევრი დეტალისა და შეთანხმების პირობების შემუშავებას დასჭირდება დრო და სათანადო განხილვა-მოლაპარაკებები ათასწლეულის დახმარების კორპორაციასა და განმცხადებელ ქვეყანას შორის. მიუხედავად ამისა, თვალსაჩინოებისთვის დოკუმენტს თან ვურთავთ <u>განაცხადის ნიმუშს</u> და განმცხადებელ ქვეყნებს მოვუწოდებთ თავიანთ თავდაპირველ განაცხადებში ვრცლად შეიტანონ მითითებული ინფორმაცია შემოთავაზებული პროგრამის შესახებ.

- <u>მიზნები და ამოცანები</u>
  - განაცხადის მოკლე მიმოხილვა, სადაც აღწერილი იქნება თქვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის საყოველთაო სტრატეგია, ქვეყანაში არსებული ძირითადი დაბრკოლებები, რომლებიც აფერხებენ ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბესთან ბრძოლას. აღწერეთ აგრეთვე, თუ როგორ აპირებს ქვეყანა ათასწლეულის დახმარების პროგრამით მიღებული დაფინანსების გამოყენებას აღნიშნული დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად.
  - განსაკუთრებული ამოცანები, რომელთა განხორციელება დასახულია შემოთავაზებული ხელშეკრულების ვადაში. ამოცანებში განსაზღვრული უნდა იყოს პრიორიტეტული სფეროები და მოსარგებლეები.
  - შეთანხმების შემოთავაზებული ხანგრძლივობა (არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს)

- <u>არგუმენტირება</u>
  - ახსენით, თუ რატომ წარმოადგენს თქვენ მიერ შემოთავაზებული პროგრამა ძირითად პრიორიტეტს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის გასაძლიერებლად და სიღარიბის დასაძლევად და რატომ საჭიროებს ათასწლეულის დახმარების მიღებას.
  - ახსენით, თუ რატომ აქვს პროგრამას წარმატებით განხორციელების დიდი ალბათობა. მიუთითეთ ძირითადი ხელსაყრელი შემთხვევები და რისკ-ფაქტორები. თუ შესაძლებელია, აღწერეთ, აქვს თუ არა პროგრამას რაიმე საერთო თქვენს ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ არსებულ განვითარების მსგავს ინიციატივასთან.

- <u>**კონსულტაციის პროცესი**</u> **-** ახსენით საჯარო/კერძო კონსულტაციების პროცესი, რომელიც გამოყენებული იქნა განაცხადის შესადგენად.

- <u>**განხორციელება**</u> – აღწერეთ პროგრამის განხორციელების საყოველთაო სტრატეგია, მათ შორის:
  - **ინსტიტუციური სისტემა** – აღწერეთ შემოთავაზებული ინსტიტუციური მოწყობა და პასუხისმგებლობები პროგრამაზე კონტროლის, პროექტის/საქმიანობის დამტკიცებაზე, საყოველთაო საფინანსო მენეჯმენტზე, პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებაზე და ათასწლეულის დახმარების კორპორაციასთან კოორდინირებაზე. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის ჩართვაზე.
  - **დონორთა კოორდინირება** – აღწერეთ შემოთავაზებულ პრიორიტეტულ სფეროში დონორთა მიერ დაფინანსებული სხვა საქმიანობები და ათასწლეულის დახმარების კორპორაციის საქმიანობათა კოორდინაციის მექანიზმები.
  - **პოლიტიკა** – აღწერეთ ის პოლიტიკა, სამართლებრივი და ნორმატიული ცვლილებები, რომელიც თქვენმა მთავრობამ განსაზღვრა აუცილებლად კონკრეტული პროგრამის მიზნების მხარდასაჭერად.
  - **პროექტები** – სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, აღწერეთ სადემონსტრაციო პროექტები, რომლებიც შეიძლება დაფინანსებულ იქნას ხელშეკრულებით; აგრეთვე შუამდგომლობის პროცესი პროგრამის განხორციელების განაცხადების განხილვისა და დამტკიცებისთვის.
  - **ღირებულება და დაფინანსება** – მრავალწლიანი ფინანსური გეგმა, სადაც შესული იქნება ათასწლეულის დახმარების კორპორაციის, თქვენი მთავრობისა და შემოთავაზებული პროგრამის მესამე მხარეების შესაძლო შემოწირულობები.
  - **მონიტორინგი და ანგარიშვალდებულება** – შემოთავაზებული მონიტორინგის გეგმის აღწერა (მათ შორის, თუ შესაძლებელია, რაოდენობითი მაჩვენებლებიც) ხელშეკრულების ამოცანების წარმატებით განხორციელების განსასაზღვრად, ფისკალური ანგარიშვალდებულების გეგმა. აღწერეთ აგრეთვე პროცესი, რათა უზრუნველყოფილი იქნას ღია, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი პროცედურების განხორციელება გრანტების მინიჭებისა და მომსახურებისა თუ საქონლის შესყიდვის დროს.

- <u>**მდგრადობა:**</u> წარმოადგინეთ თქვენი ქვეყნის სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ათასწლეულის დახმარების პროგრამის შედეგების შენარჩუნებას.

- <u>**ათასწლეულის დახმარების პროგრამის კრიტერიუმების დაცვა:**</u> აღწერეთ ის ნაბიჯები, რომელსაც თქვენი მთავრობა დგამს ან გადადგამს, რათა უზრუნველყოს ათასწლეულის დახმარების პროგრამის საყოველთაო კრიტერიუმების შესრულება.

<u>განაცხადის განხილვა და შემდგომი საფეხურები</u>

მონაწილეობის უფლების მქონე ქვეყნის მიერ განაცხადის წარდგენა არ იძლევა გარანტიას, რომ ათასწლეულის დახმარების კორპორაცია აუცილებლად დადებს ხელშეკრულებას ამ ქვეყანასთან ან დააფინანსებს შემოთავაზებულ პროგრამას. კორპორაცია შეაფასებს შემოსულ განაცხადებს და მიიღებს გადაწყვეტილებას ინვესტიციების შესახებ სხვადასხვა საკითხების გათვალისწინებით, როგორიცაა: რამდენად კარგად ასახავს განაცხადი ურთიერთდამოკიდებულებას შემოთავაზებულ პროგრამას, ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბის დაძლევას შორის. ქვეყნის მიერ წარმოდგენილი თავდაპირველი განაცხადის ხარისხი განსაზღვრავს, თუ რამდენად სწრაფად დაიწყებს კორპორაცია მნიშვნელოვან დისკუსიებს ამ ქვეყანასთან. გარდა ამისა, ხარისხი მოახდენს ზეგავლენას ხელშეკრულების შეთანხმებაზე და კორპორაციის საბჭოს მიერ დამტკიცებული ნებისმიერი დახმარების გაწევის ვადებზე.

შემოთავაზებული განაცხადის განხილვის შემდეგ კორპორაცია დაუკავშირდება ქვეყნის მიერ დასახელებულ წარმომადგენელს შემდეგი ეტაპების განსახილველად. მონაწილე ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ განაცხადის წარდგენიდან ათასწლეულის დახმარების პროგრამის განხორციელებამდე არსებობს სხვადასხვა ეტაპები, რომლებიც განსხვავდებიან ქვეყნების მიხედვით. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, შემდეგ საფეხურზე კორპორაციამ შესაძლოა სთხოვოს ქვეყანას განსაზღვროს სათანადო ტექნიკური დახმარება, რომელიც საჭირო იქნება განაცხადის შემდგომი განვითარებისათვის. სხვა შემთხვევებში, თავდაპირველი განაცხადი შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს, რათა დაიწყოს დეტალური განხილვები კორპორაციასთან პროგრამის მიზნებსა და ბიუჯეტზე, საფინანსო და პროგრამულ ანგარიშვალდებულებებზე და შემოთავაზებულ პროგრამასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. თუ ან როდესაც კორპორაცია და ქვეყანა ათასწლეულის დახმარების პროგრამის პარამეტრებზე მიაღწევენ ზოგად შეთანხმებას, მაშინ შესაძლებელი გახდება დავიწყოთ მოლაპარაკებები საბოლოო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით (რომელიც უნდა დაამტკიცოს კორპორაციის საბჭომ) და მოვემზადოთ პროგრამის განსახორციელებლად.

**წინამდებარე მითითებები ითვალისწინებს მხოლოდ ინფორმაციის მოწოდებას და მან შესაძლოა განიცადოს ცვლილებები და დამატებები კორპორაციის მხრიდან. აღნიშნული მითითებები ან ათასწლეულის დახმარების პროგრამისთვის განაცხადის წარდგენა არ ანიჭებს რაიმე უფლებებს განმცხადებელს ან სხვა რომელიმე მხარეს.**

განახლებულია: 2004 წლი 29 აპრილს

## ათასწლეულის დახმარების პროგრამის
## განაცხადის ნიმუში

ქვეყნის დახმარების პროგრამაზე და შესაბამის ხელშეკრულებაზე მუშაობის დასრულებამდე, კორპორაცია და განმცხადებელი ქვეყანა უნდა შეთანხმდნენ პროგრამის განხორციელების მიზნებსა და სტრატეგიაზე. ხელშეკრულება, პროგრამის სხვა დოკუმენტებთან და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეთანხმებებთან ერთად, განსაზღვრავს ძირითად მიზნებს და სამუშაო დეტალებს (მაგალითად: საფინანსო, საბუღალტრო, ანგარიშების წარმოების, მონიტორინგისა და შეფასების გეგმებს) როგორც პროგრამის, ისე კონკრეტული პროექტისა თუ საქნიანობის დონეზე.

კორპორაციის ვარაუდით, თავდაპირველი განაცხადების ფორმატი და შინაარსი განსხვავებული იქნება სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, რომელთა შორისაა შემოთავაზებული პროგრამის სახეობა და სირთულე. ამიტომ დახმარების პროგრამის ბევრი დეტალის განვითარება მოხდება დროთა განმავლობაში, კორპორაციასა და განმცხადებელ ქვეყანას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებისა და განხილვების საფუძველზე. მიუხედავად ამისა, განმცხადებელ ქვეყნებს მოვუწოდებთ თავდაპირველ განაცხადებში შეიტანონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შემოთავაზებული პროგრამის შესახებ. ქვემოთ წარმოდგენილია ის ელემენტები, რომლებიც, გარდა აუცილებელი იურიდიული პირობებისა (როგორიცაა, მაგალითად, ათასწლეული დახმარების დაბეგვრის აკრძალვა), აუცილებლად უნდა იქნენ წარმოდგენილნი ხელშეკრულებაში, პროგრამასთან დაკავშირებულ სათანადო დოკუმენტებსა და შეთანხმებებში და შესაბამისად, ათასწლეულის დახმარების განაცხადშიც:

1. <u>მიზნები და ამოცანები:</u>

   a) <u>განაცხადის მოკლე მიმოხილვა</u>: [განაცხადის მოკლე მიმოხილვა, სადაც შესული იქნება მთავრობის მიერ შემუშავებული ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის ძირითადი ელემენტები, აგრეთვე განვითარების პროგრამა ან პროგრამები, რისთვისაც მოთხოვნილ იქნა აღნიშნული დახმარება („პროგრამა“). აღნიშნულ მიმოხილვაში მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში არსებული ძირითადი დაბრკოლებები, რომლებიც აფერხებენ ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბესთან ბრძოლას, აგრეთვე თუ როგორ აპირებს მთავრობა ათასწლეულის დახმარების პროგრამით მიღებული დაფინანსების გამოყენებას აღნიშნული დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად]

   b) <u>შემოთავაზებული პრიორიტეტები</u>. [აღწერეთ პრიორიტეტული სფეროები სექტორების მიხედვით, რომელზედაც გსურთ პროგრამაში ყურადღების გამახვილება (მაგალითად: განათლება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, საფინანსო სექტორის განვითარება, პრივატიზაცია, საკანონმდებლო რეფორმა, სასამართლო რეფორმა და ა.შ.). შენიშვნა: ჩამოთვლილი ნიმუშები მოყვანილია საილუსტრაციოდ და არ უნდა იქნას განხილული,

როგორც კორპორაციის სასურველი პოლიტიკა და მათ არ უნდა შეიზღუდონ შემოსათავაზებელი პრიორიტეტების სახეობები.]

c) <u>შემოთავაზებული ამოცანები:</u> [თითოეული ზემოხსენებული პრიორიტეტისთვის საჭიროა შემდეგი: (i) აღწეროთ კონკრეტული ამოცანა, რომლის მიღწევაც გსურთ პრიორიტეტულ სფეროში ხელშეკრულების ვადებში; (ii) აღწერეთ, თუ რამდენად არის დაკავშირებული აღნიშნული სტრატეგიული მიზნები თქვენს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის მისაღწევად; (iii) აღწერეთ პროგრამის შესაძლო მოსარგებლეები და თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, დაყავით ისინი შემოსავლის, სქესისა და ასაკის მიხედვით]

2. <u>არგუმენტაცია:</u> [ახსნა-განმარტება, თუ რატომ წარმოადგენს შემოთავაზებული პროგრამა უმაღლეს პრიორიტეტს ქვეყანაში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევისთვის და თუ რატომ ესაჭიროება მას კორპორაციის მხარდაჭერა. ამ ნაწილში აღწერილი უნდა იყოს, თუ რატომ აქვს შემოთავაზებულ პროგრამას წარმატების დიდი ალბათობა. აღწერეთ ძირითადი ხელსაყრელი პირობები და რისკის ფაქტორები. შესაძლებლობისამებრ, ამ ნაწილში აღნიშნეთ, თუ როგორ შეესაბამება პროგრამა თქვენს ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ განხორციელებულ განვითარების მსგავს ინიციატივებს.]

3. <u>კონსულტაციის პროცესი:</u> [აღწერეთ საჯარო/კერძო კონსულტაციების პროცესი, რომელიც გამოყენებული იქნა განაცხადის შესამუშავებლად. მიუთითეთ: (i) რამდენად ითვალისწინებს განაცხადი ქვეყნის ურბანული და სოფლის ღატაკი მოსახლეობის (მათ შორის ქალების) ადგილობრივ პერსპექტივებს; თუ რა სახის კონსულტაციები გაიარა მთავრობამ კერძო და მოხალისე ორგანიზაციებთან, აგრეთვე ბიზნესის წარმომადგენლებთან. (ii) წარმოადგინეთ ყველა იმ მაღალჩინოსანი სახელმწიფო და არასამთავრობო მოხელის, მათ შორის ორგანიზაციების ნუსხა, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით განაცხადის შემუშავებაში.]

4. <u>განხორციელება:</u> [აღწერეთ პროგრამის განხორციელების სტრატეგია, მიუთითეთ განხორციელების გეგმის შემდეგი კონკრეტული ელემენტების აღწერა:]

a) <u>ინსტიტუციური სტრუქტურა:</u> [აღწერეთ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შემოთავაზებული ინსტიტუციური სტრუქტურა, მათ შორის თქვენი მთავრობის, ათასწლეულის დახმარების კორპორაციის და მესამე მხარეთა ვალდებულებები და ფუნქციები შემდეგ საკითხებთან მიმართებაში: (i) პროექტისა და საქმიანობის დონეზე განაცხადის შუამავლობის, განხილვისა და შერჩევის პროცესის ადმინისტრირება; (ii) პროგრამის ბიუჯეტი, ბუღალტერია, ფონდების კონტროლი და ამ პროცესების მეთვალყურეობა; (iii) მონიტორინგისა და შეფასების პროცესების მართვა პროგრამისთვის. ამ ნაწილში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის მონაწილეობა პროგრამის განხორციელების პროცესში.]

b) <u>დონორთა კოორდინირება:</u> [აღწერეთ, თუ როგორ ხდება ქვეყანაში დონორების კოორდინირება პრიორიტეტული სფეროებისა და ზემოთ დასახელებულ მიზნებთან მიმართებაში. მიუთითეთ აგრეთვე: (i) ბოლო

წლებში პრიორიტეტულ სფეროებში სხვა დონორთა მიერ გაწეული დახმარებები; (ii) როგორ ხორციელდება ან განხორციელდა აღნიშნულ პრიორიტეტებთან და ამოცანებთან დაკავშირებული მიმდინარე და უკვე დასრულებული პროექტები; (iii) როგორ მოხდება პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობათა და სხვა დონორთა მიერ გაწეულ დახმარებათა კოორდინირება პროგრამის განხორციელების პერიოდში.]

c) <u>პოლიტიკა:</u> [აღწერეთ ის პოლიტიკა, სამართლებრივი და ნორმატიული ცვლილებები, რომელიც თქვენმა მთავრობამ განსაზღვრა აუცილებლად პროგრამის პრიორიტეტებისა და ამოცანების მხარდასაჭერად (მაგალითად, მთავრობის საფინანსო მენეჯმენტის სისტემების მოდერნიზება; საკუთრების შესახებ კანონში ან საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა და ა.შ.). დაასახელეთ აგრეთვე, თუ რა სახის დახმარებას მოელით აღნიშნული სფეროებისთვის ათასწლეულის დახმარების კორპორაციიდან.]

d) <u>პროექტები:</u> [აღწერეთ სადემონსტრაციო პროექტები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს და დაფინანსდეს პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულების თანახმად. აღწერეთ აგრეთვე საწყისი შემოთავაზებული პროექტები, თუ ასეთი არსებობს. ამ ნაწილში შეგიძლიათ მიუთითოთ: (i) ღია, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი პროცედურები, რომელიც გამოიყენება პროგრამის განსახორციელების ან საქონლისა თუ მომსახურების შესყიდვის დროს; (ii) როგორ წარმოგიდგენიათ მთავრობის, ათასწლეულის დახმარების კორპორაციისა და მესამე მხარეთა როლი განაცხადებზე შუამდგომლობის, განხილვისა და შერჩევის პროცესის ადმინისტრირების დროს.]

e) <u>ღირებულება და დაფინანსება:</u> [აღწერეთ შემოთავაზებელი მრავალწლიანი საფინანსო გეგმა. მაგალითად, მიუთითეთ: (i) ბაზა და გამოყენებული დოკუმენტაცია, რომელიც საფუძვლად დაედო ხარჯთაღრიცხვის შედგენას პროგრამის ამოცანებისა და გამიზნული შედეგების მისაღწევად; (ii) ნებისმიერი ბაზისული საბიუჯეტო მონაცემების საფუძველი; (iii) ათასწლეულის დახმარების კორპორაციის, მთავრობისა და მესამე მხარეთა (მაგალითად, დონორების) შესაძლო შემოწირულობები პროგრამის მიზნების განხორციელებისთვის; (vi) თანხების ყოველწლიური, თანდათანობითი გაწერა პროგრამის მიმდინარეობის პროცესში, სადაც არეკლილი იქნება მოსალოდნელი პროგრესი.]

**f)** <u>მონიტორინგი და ანგარიშვალდებულება:</u>

(i) <u>ფისკალური ანგარიშვალდებულების გეგმა:</u> [აღწერეთ შემოთავაზებული ფისკალური ანგარიშვალდებულების გეგმა ხელშეკრულების თანახმად გადახდილი თანხებისთვის. მიუთითეთ, მაგალითად: თანხების კონტროლი და დოკუმენტაცია, მოვალეობებისა და შიდა კონტროლის გაყოფა, საბუღალტრო სტანდარტები და სისტემები, დროული და სათანადო ანგარიშების წარმოების შესაძლებლობა, საფინანსო ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებული პოლიტიკა, ნაღდი თანხის განკარგვის პრაქტიკა, კონტრაქტორების დროეული ანაზღაურება,

შესყიდვისა და კონტრაქტის დადების გამოცდილება და დამოუკიდებელ აუდიტორთა როლი. თუ ამის საშუალება არსებობს, აღწერეთ ნებისმიერი გეგმა, რომელიც გააუმჯობესებს მთავრობის საფინანსო მენეჯმენტს.]

(ii) <u>მონიტორინგი და შეფასება:</u> [აღწერეთ, თუ როგორ მოხდება პროგრამის შესრულებისა და პროგრესის შეფასება. მიუთითეთ, მაგალითად: (i) როგორ გაზომავთ ამოცანების მიღწევას; (ii) შემოთავაზებული შუალედური შედეგები და მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება პროგრესის რეგულარულად შეფასებისთვის; (iii) ხელთარსებული საბაზისო მონაცემები (ან გეგმა ბაზისის შესაქმნელად), აგრეთვე შემოთავაზებული ამოცანები პროგრამის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად; (vi) როგორ აპირებთ მართოთ შესრულების მონაცემების შეგროვება და მათი დამოწმება. ამ ნაწილში განსაზღვრული უნდა იყოს მიღებული ზომები და მიზნები, რომლებიც გამოყენებულ იქნა შუალედური შედეგებისა და პროგრამის ამოცანების მისაღწევად. (<u>იხილეთ დანართი ა-ში</u> წარმოდგენილი სქემის ნიმუში, სადაც მოცემულია პროგრამის სავარაუდო ამოცანები და შედეგები წლების მიხედვით. აქ აგრეთვე მითითებულია ის მაჩვენებლები, რომლებიც გამოყენებული იქნება პროგრესის დასადგენად)]

5. <u>მდგრადი განვითარების სტრატეგია:</u> [აღწერეთ თქვენი სტრატეგია ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ პროგრამის ამოცანების შესრულებისას მიღწეული შედეგების შესანარჩუნებლად.]

6. <u>ათასწლეულის დახმარების პროგრამის კრიტერიუმების დაცვა:</u> [აღწერეთ ის ნაბიჯები, რომელსაც თქვენი მთავრობა დგამს ან გადადგამს, რათა უზრუნველყოს ათასწლეულის დახმარების პროგრამის საყოველთაო კრიტერიუმების შესრულება. კრიტერიუმები მოცემულია დოკუმენტში, რომლის სახელწოდებაა „<u>ანგარიში კრიტერიუმებისა და მეთოდების შესახებ, რომლებიც გამოიყენება 2004 წლის ათასწლეულის დახმარების პროგრამაში მონაწილეობის უფლების მქონე კანდიდატი ქვეყნის გამოსავლენად</u>“. იგი გამოქვეყნდა ათასწლეულის დახმარების კორპორაციის ინტერნეტ გვერდზე: http://www.mcc.gov/Documents/methodology_report.pdf]

7. <u>ათასწლეულის დახმარების კორპორაციის მიერ განსახილველი სხვა ფაქტორები:</u> [აღწერეთ ნებისმიერი სხვა ფაქტორი, სათანადო დამხმარე მასალა ან დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგენს განაცხადის დამატებას. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, სამეცნიერო გამოკვლევა, შესწავლა და მიმდინარე ან დასრულებული პროგრამის გეგმების შეფასებები.]

8. <u>სამთავრობო წარმომადგენელი:</u> [განსაზღვრეთ სამთავრობო წარმომადგენელი ან წარმომადგენლები (მიუთითეთ მათი ვინაობა, თანამდებობა, დაწესებულება და საკონტაქტო ინფორმაცია), რომელიც/რომლებიც იქნებიან პასუხისმგებლები მთავრობის სახელით ხელშეკრულების მოლაპარაკებაზე.]

9. **<u>გამჭვირვალობა:</u>** [აღწერეთ, თუ როგორ აპირებთ საზოგადოებისთვის მისაწვდომი გახადოთ ინფორმაცია ხელშეკრულებისა და პროგრამის ამოცანების პროგრესის შესახებ.]

## <u>დანართი A: მიზნები და შედეგები</u>

<u>**შენიშვნა:**</u> ქვემოთ მოცემულია მიზნებისა და შედეგების ცხრილის საილუსტრაციო ნიმუში. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ის მოყვანილია მხოლოდ <u>საჩვენებელი მიზნით</u> და არ წარმოადგენს რეკომენდაციას რომელიმე სფეროსთვის ან კონკრეტული მაჩვენებლისთვის:

### <u>პრიორიტეტული სფერო 1: განათლება</u>

| <u>პროგრამის მიზანი</u> | <u>მაჩვენებელი</u> | <u>ბაზისი</u> | <u>წელი 1</u> | <u>წელი 2</u> | <u>წელი 3</u> | <u>წელი 4</u> |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის მიზანი პირდაპირ მომდინარეობს ეკონომიკური ზრდის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორებიდან. მაგალითი: მომავალი მუშახელის დონის ამაღლება, ან სოფლებში ცხოვრების დონის გაუმჯობესება და ა.შ. | საჭიროებისამებრ, ეს შესაძლოა იყოს სექტორ-დონის მაჩვენებელი. მაგალითი: სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განათლების დონე, ან ფერმერის შემოსავალი | X% | | | | |
| | | | | | | |
| <u>შუალედური შედეგები</u> | <u>მაჩვენებელი</u> | <u>ბაზისი</u> | <u>წელი 1</u> | <u>წელი 2</u> | <u>წელი 3</u> | <u>წელი 4</u> |
| შუალედური შედეგები გახლავთ ინდივიდუალური პროექტების/საქმიანობის და მათი მწარმოებლურობის ერთობლიობის შესაძლო შედეგი. მაგალითი: „დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა %-ის ზრდა“ | მაგალითი: სკოლაში ჩარიცხვის/სიარულის მაჩვენებლები | X% | X% | Y% | Z% | ა.შ. |
| პროგრამის განაცხადში შემავალი შუალედური შედეგების რაოდენობა დამოკიდებულია წარმოდგენილი სექტორის კონკრეტულ სახეობაზე. II მაგალითი: „მასწავლებლების პროფესიული დონის ზრდა“ | მაგალითი: მასწავლებლის ტესტირების ქულები | X% | X% | Y% | Z% | ა.შ. |

კონკრეტული პროექტების შემთხვევაში დაურთეთ მწარმოებლურობისა და საქმიანობების შედეგებთან და მიზნებთან დამაკავშირებელი ცხრილი:

| <u>შუალედური შედეგები</u> | <u>მაჩვენებელი</u> | <u>ბაზისი</u> | <u>T1</u> | <u>T2</u> | <u>T3</u> | <u>T4</u> |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყოველ შედეგს თან უნდა ერთვოდეს ერთი ან მეტი მწარმოებლურობის მაჩვენებელი, რომელიც მის წარმატებას ასახავს. მაგალითი: „მასწავლებლის პროფესიული დონის ამაღლება“ უნდა მოხდეს მასწავლებლების გადამზადების შედეგად. | მაგალითი: მასწავლებლის ტესტირების ქულები | X% | | | | X% |
| | | | | | | |
| <u>მწარმოებლურობა</u> | <u>მაჩვენებელი</u> | <u>ბაზისი</u> | <u>T1</u> | <u>T2</u> | <u>T3</u> | <u>T4</u> |
| მაგალითი: მასწავლებლების გადამზადება | მაგალითი: იმ მასწავლებელთა % ვინც დაასრულა გადამზადების კურსები | X% | X% | Y% | Z% | ა.შ. |

[დაურთეთ დამატებითი ცხრილები პირველ ნაწილში განსაზღვრული თითოეული პრიორიტეტული სფეროსთვის.]